განკარგულება:**g-81. 8124031001**
თარიღი:**31/01/2024**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №1**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ89.03.21.224) №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ერთი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრისთვის" (ს/ნ 442570004) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

---

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ" ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ89.03.21.224) №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობა გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ერთი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრს" (ს/ნ 442570004).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი